პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 ივნისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 121 (9532) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სსრ კავშირის თასი — ქართველ აკრობატებს



გია მარმარაშვილი.

**კალინინი.** აქ დამთავრდა აკრობატიკაში საბჭოთა კავშირის თასის მორიგი გათამაშება. ტურნირის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის კრასნოდარელთა ოთხეულის დამარცხება იყო. ვ. კუროლესოვმა, ვ. სიმონოვმა, მ. ბისტროვმა და კ. იზმაილოვმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს. თასი კი თბილისელთა კვარტეტმა (ილია გოგორიშვილი, ვაჟა არაყიშვილი, დიმიტრი კარტოზია, ემზარ აბუაშვილი) მოიგო. ახალგაზრდა აკრობატებმა სპეციალისტთა სამართლიანი მოწონება დაიმსახურეს.

ვაჟთა ხტომებში სსრ კავშირის თასს ასევე თბილისელი აკრობატი გია მარმარაშვილი დაეპატრონა. ქალთა შორის ხტომებში პირველი სტავროპოლელი ა. სისოევა იყო.

ორი გამარჯვება მოიპოვეს კიეველმა სპორტსმენებმაც. ვ. ტიშლერმა და ვ. მიტნიკმა შერეულ წყვილთა შეჯიბრება მოიგეს, ი. დიაჩენკომ, ა. ქივიცამ და მ. პესკოვსკაიამ ყველას აჯობეს ქალთა ჯგუფურ ვარჯიშებში. ვაჟთა წყვილებში თასი ვორონეჟელ აკრობატებს ა. პრავოტოროვსა და ი. ვიალოვს გადაეცათ, ქალთა წყვილებში კი ჯილდოს იაროსლაველი სპორტსმენები ს. ბეზრუჩკო და ა. ბაბანინა დაეპატრონენ.



ილია გოგორიშვილი. ვაჟა არაყიშვილი. დიმიტრი კარტოზია. ემზარ აბუაშვილი.

ეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს

### სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 1987
ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

## როცა კაპიტანი ცდება

**საქართველო (ნაკრები) — დასავლეთი ზონა (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები) 4:5 (0:1, 2:2, 1:2, 1:0).**

**შემადგენლობები:**

**საქართველოს ნაკრები:**

გ. გზირიშვილი (გ. პოსოხოვი), გ. გონაძე, ო. პატარიძე, გ. მახარაძე, ი. ლატიშვილი, გ. ბექანიშვილი, დ. ბურდული, ზ. დავითიანი (ვ. ჩიტანაშვილი), გ. გრიგოლია, ს. გოგიჩევი.

**დასავლეთი ზონა** (სსრ კავშირის განათლების სამინისტრო):

კ. ბლუდილინი, ა. ტიშჩენკო, ა. კოზულევი, ს. კოვალიოვი, ვ. კროიტორი, ს. გრაბოვანი, ა. ეგოროვი, დ. კულიკოვი, ი. ნოსოვი, ვ. პახომოვი, ა. კრემერი, ნ. სმირნოვი.

**მსაჯები:** ვ. პროიზვოლოვი (მოსკოვი, საკავშირო კატეგორია), ვ. კოსოვი (ვოლგოგრადი, რესპუბლიკური კატეგორია).

**მატჩის** დაწყებისთანავე მხოლოდ წუთი და 45 წამი იყო გასული, „მინდორზე“ მოხდა . შემთხვევა, რომელმაც ფაქტიურად განსაზღვრა შეხვედრის შედეგი.

ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ სპეციალისტებმაც, რომლებიც ყუ-



რადღებით ადევნებდნენ თვალს თამაშს, პრესცენტრს მიმართეს დასახმარებლად. „გაგვაგებინეთ, რა მოხდა?“

მატჩის დამთარების შემდეგ ველაპარაკეთ ერთ-ერთ მსაჯს ვლადიმერ კოსოვს. მან ხელები გაშალა: შეცდომა ჩემმა კოლეგამ შეამჩნია და მეც დავეთანხმე. მხოლოდ შეჯიბრების მთავარი არბიტრი ევგენი სემიონოვი დაგვთანხმდა კომენტარი გაეკეთებინა და ყველაფერი ნათელი გახდა.

მატჩის მეორე წუთზე საქართველოს ნაკრების კაპიტანი, გუნდის ლიდერი (არა მხოლოდ სტატუსით, არამედ თამაშითაც) ნიჭიერი, იმედის მომცემი წყალბურთელი საკავშირო ახალგაზრდული ნაკრები გუნდის კანდიდატი ზვიად დავითიანი — ...მოედნიდან გააძევეს. შეცვლის უფლებით.

უნდა გენახათ ბიჭების დაბნეულობა!

დასავლეთი ზონის (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს) წყალბურთელებს ძლიერ გუნდს ვერ უწოდებთ. დიახ, ამ შეხვედრის მოგება ჩვენს გუნდს შეეძლო და უნდა მოეგო კიდეც. მაგრამ...

ჩვენს კარში ჯერ ერთი უპასუხო ბურთი გავიდა, შემდეგ მეორეც—პენალტით. მეორე პერიოდში მოთამაშეები ცდილობდნენ მდგომარეობის დაოკებას. გიორგ-

იხ. მე-2 გვ.

ჩემპიონატის ექო ● ტყვიის სროლა

## საოჯახო საქმეები



სურათზე: ნინო და ვახტანგ სალუქვაძეები.

**სროლა** რომ დაამთავრა, საქმიანად შეაგროვა თავისი ნივთები, ჩაალაგა პისტოლეტები და ტირიდან გარეთ გამოვიდა.

— გრძნობთ თავს ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონად?

მხრები აიჩეჩა.

—მართალი გითხრათ, ჯერ არა. ეს იყო ურთულესი შეჯიბრება, რომელიც მოვიგე, მაგრამ ყოველი ვარჯიშის შემდეგ მამა მიჯავრდებოდა.

— რატომ?

— შეცდომებისათვის. არც გაემტყუნებოდა, მპ-5-ის პირველ სე-

იხ. მე-2 გვ.

## სიჭაბუკის დღესასწაულის წინ

**ჩვენი** რესპუბლიკა დღესვე მზად არის მიიღოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული სკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო ასპარეზობის მონაწილეები და სტუმრები. ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომლის მონაწილეებმა განიხილეს ამ დიდი კომპლექსური შეჯიბრებისათვის მზადების მიმდინარეობა.

ინფორმაციები გააკეთეს ასპარეზობისათვის მზადებისა და მისი გამართვის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ გ. მ. თალაკვაძემ და რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. დ. შუბლაძემ, აგრეთვე თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. ქვანიამ, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ო. ღლონტმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ი. დ. სულაბერიძემ.

რესპუბლიკის თორმეტ ქალაქში შესრულდა ასპარეზობისათვის მზადების დიდი სამუშაო, აღნიშნეს თათბირზე. შეკეთებული და რეკონსტრუირებულია ყველა ბაზა, სადაც გაიმართება შეჯიბრება სპორტის 24 სახეობაში, შემუშავებულია კულტურული პროგრამა და გამოყოფილია შეფები ექვსი ათასზე მეტი სპორტსმენის, მსაჯისა და მწვრთნელისათვის. გადაწყვეტილია მონაწილეთა დაბინავების, კვებისა და სატრანსპორტო მომსახურების, სუვენირების გამოშვების საკითხები. საორგანიზაციო კომიტეტისა და ორი შტაბის სხდომებზე რეგულარულად ისმენენ და ოპერატიულად ჭრიან ყველა წარმოქმნილ პრობლემას.

წყალბურთელთა ტურნირი, რომელიც ახლა მიმდინარეობს თბილისში ასპარეზობის პროგრამით, მისი ძირითადი ნაწილისათვის კარგი მომზადების კიდევ ერთი დადასტურებაა. სპეციალისტებისა და სპორტსმენების აზრით, იგი მაღალ დონეზეა ორგანიზებული.

20 ივლისამდე, ასპარეზობის დაწყებამდე დარჩენილ დროს, შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები მაქსიმალურად გამოიყენებენ, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ სპორტული ფორუმის გამართვისას არავითარი ხარვეზი არ იყოს.

(საქინფორმი).

### თბილისის „დინამო“ — უნგრეთში

დღეს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი მოსკოვიდან უნგრეთში გაემგზავრება საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად. „დინამოს“ პირველი მეტოქე იქნება „ჩეპელი“.

## ანშლაგი ცისფერ ბილიკებზე

ცურვის საკავშირო ღონისძიებების ინიციატორებმა ზაფხული — არდადეგებისა და შვებულებების დრო შეარჩიეს ამ მეტად საჭირო, საინტერესო ღონისძიების ჩასატარებლად. ამ ღონისძიების პროგრამით მოეწყო მოცურავის კვირეული.

კვირეულის დღეებში ღია იყო თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ (დირექტორი თ. პაიჭაძე) აუზის კარიც. ცისფერი ბილიკები ელოდათ ამ და ლენინის რაიონის სხვა საწარმოთა მუშამოსამსახურეებს, მათი ოჯახის წევრებს, რაიონის მკვიდრთ.

სპორტკლუბ „გამარჯვების“ ცურვის მოყვარულთა კლუბის „ნეპტუნის“ (თავმჯდომარე ა. მელაძე) წევრებმა, რომლებიც წელიწადზე მეტია ამ აუზში ვარჯიშობენ, მოაწყვეს საჩვენებელი გამოსვლები.

აუზი არც კვირეულის დამთავრების შემდეგ დაცარიელდება. აქ შეიქმნა ცურვის შემსწავლელი, ფასიანი საბონემენტო და ბავშვთა და მოზარდთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები




# როცა კაპიტანი ცდება

(დასასრული)

გრიგოლია და გიორგი ბექანიშვილი ათანაბრებენ ანგარიშს. მაგრამ მოთამაშეები მაინც ნერვიულობენ, უშვებენ შეცდომებს, უხეშობენ. მათ ერთი მეორეს მიყოლებით აძევებენ სარბიელიდან— სულ თამაშის განმავლობაში ორივე გუნდიდან 11 მოთამაშე გააძევეს.

მესამე პერიოდის დასასრულს და მეოთხე პერიოდის დასაწყისში ქართველი წყალბურთელები



ცდილობენ ძალებს თავი მოუყარონ. ამას ყველაზე უკეთესად ირაკლი ტატიშვილი (№ 5) ახერხებს, რომელსაც ორჯერ ზედიზედ გააქვს გოლი. იგი მინიმუმამდე ამცირებს ანგარიშში სხვაობას, მაგრამ ბოლო ბურთი ძალზე გვიან გააქვს — ფინალის მაუწყებელი სასტვენის ხმის შემდეგ. ანგარიშია 5:4 დასავლეთის ზონის გუნდის სასარგებლოდ.

— კაპიტანმა თავისი გუნდი დაალალატა — თქვა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა ევგენი სემიონოვმა—იგი არაეთიკურად მოიქცა სარბიელზე, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ოქტოქეს, გაიწია დასარტყმელად და რასაკვირველია, სარბიელიდან თამაშის ბოლომდე გააძევეს „შეცვლის უფლებით". ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მოთამაშე არ გამოტოვებს შემდეგ თამაშს და არ წარდგება ტექნიკური კომისიის წინაშე, მაგრამ მწვრთნელები და მოთამაშეები ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებენ.

## 21 ივნისი, სხვა შეხვედრები:

**საბჭოთა არმია — პროფკავშირების ნაკრები-I 11:12 (1:2, 3:3, 3:6, 4:1).**

**მსაჯები:** ვ. ოსადინი (ვოლგოგრადი, რესპუბლიკური კატეგორია), ვ. პოლოზკოვი (მოგილიოვი, რესპუბლიკური კატეგორია).

**რსფსრ** (განათლების სამინისტრო) — **სამხრეთი ზონა** (სსრ კავშირის განათლების სამინისტრო) 9:9 (4:0, 0:4, 2:2, 3:3).

**მსაჯები:** ბ. სიმონიანი (ერევანი, საერთაშორისო კატეგორია), ვ. ხრამოვი (ხარკოვი, საკავშირო კატეგორია).

**„დინამო" — პროფკავშირების ნაკრები-II 6:7 (2:3, 2:1, 0:1, 2:2).**

**მსაჯები:** ვ. გალიჩნიკოვი (ბაქო, რესპუბლიკური კატეგორია), ა. კონსტანიანი (ერევანი, რესპუბლიკური კატეგორია).

## გუშინ...

**22 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: პროფკავშირები-2 — დასავლეთი ზონა 13:8 (2:1, 2:3, 5:3, 4:1).**

**მსაჯები: ვ. ნაჯაფოვი (ბაქო), ა. კონსტანიანი (ერევანი).**

**„დინამო" — უკრაინა 8:7 (2:2, 1:2, 2:2, 3:1).**

**მსაჯები: ვ. ოსადინი, ვ. კოსოვი (ორივე — ვოლგოგრადი).**

**პროფკავშირები-1 — სამხრეთი ზონა 9:9 (4:3, 3:2, 1:2, 1:2).**

**მსაჯები: ვ. ხრომოვი (ხარკოვი), ვ. პროიზვოლოვი (მოსკოვი).**

**საბჭოთა არმია — „შრომითი რეზერვები" 13:4 (4:1, 1:1, 4:0, 4:2).**

**მსაჯები: ს. კოროლიოვი (ალმა-ათა), ი. სანაძე (თბილისი).**

**საქართველოს ნაკრები გუშინ ისვენებდა.**

## დღეს ერთმანეთს ხვდებიან

**16 ს. რსფსრ (განათლების სამინისტრო) — საბჭოთა არმია (სსრ კავშირის ნაკრები).**

**17 ს. „შრომითი რეზერვები" (სსრ კავშირის ნაკრები) — პროფკავშირები-I (სსრ კავშირის ნაკრები).**

**18 ს. საქართველო (ნაკრები) — „დინამო" (სსრ კავშირის ნაკრები).**

**19 ს. უკრაინა (განათლების სამინისტროს ნაკრები) — პროფკავშირები-II (სსრ კავშირის ნაკრები).**

რეპლიკა

# რატომ თვითნებობენ?

პრესცენტრის დანიშნულება გეცოდინებათ: ჟურნალისტები აქ ხვდებიან ერთმანეთს, იღებენ საჭირო ინფორმაციას, ამზადებენ და ტელეფონით გადასცემენ მას, სასაუბროდ იწვევენ სპეციალისტებს...

თბილისის განათლების სამმართველოს საწყლოსნო კომპლექსში, სადაც სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ტარდება, ჟურნალისტებს კარგი ოთახი გამოუყვეს, კავშირგაბმულობის სამინისტრომ ორი ტელეფონი დადგა. ჟურნალისტებმაც ოპერატიულად მოაწყვეს ფოტოსტენდი, გამოფინეს მასალები პრესაში შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ და ა. შ. ერთი სიტყვით, პრესცენტრი წესისა და რიგის მიხედვით მუშაობს. აქ სისტემატურად რეკავენ, აინტერესებთ შეიტყონ, როგორ დამთავრდა ესა თუ ის შეხვედრა. და აი, ასეთ ვითარებაში, აუზის თანამშრომელი, გუშინწინ ტურის შეხვედრების დამთავრების შემდეგ უბოდიშოდ შევიდა პრესცენტრში და ჟურნალისტებს ცხვირწინ ააცალა ტელეფონის აპარატები, აქაოდა ჩვენ მუშაობას ვამთავრებთ, აპარატები გვაწერია და არ დაიკარგოსო (?!). მანამდე კი პრესცენტრიდან ერთადერთი საბეჭდი მანქანა „გააქრეს". რატომ? ისიც იმავე მიზეზით — გვეშინია ვინმემ არ გააფუჭოსო.

საკავშირო თამაშების მთავარი შეჯიბრებები წინ არის და ამ აუზის თანამშრომლების გამოცდილება სხვებმაც რომ გადაიღონ, მაშინ რა გვეშველება?

## კულტურულ-სპორტული კომპლექსი ● გამოცდილება და პრობლემები

„კულტურულ-სპორტული კომპლექსების საკოორდინაციო საბჭო უნდა მიგვაჩნდეს მხოლოდ წარმმართველ, მაკოორდინირებელ და საკონსულტაციო ორგანოდ, რომლის რეკომენდაციათა საფუძველზე საქალაქო და რაიონული აღმასკომები მიიღებენ გადაწყვეტილებებს, თავს მოუყრიან საშუალებებს და წარმართავენ მთელ მუშაობას მშრომელთა თავისუფალი დროის გამოყენების გაუმჯობესებისათვის, მთლიანად რეგიონში კულტურულ-საგანმანათლებლო და ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის განვითარებისათვის".

საქართველოს პარტიულ სამეურნეო აქტივის კრების (1985 წლის, ივლისი) მასალებიდან.

# საქმიანად დაიწყეს

კულტურულ-სპორტული კომპლექსის თაოსნობით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა და კეთდება ცხაკაიას რაიონში.

ცხაკაიას საკონსტრუქტორო ბიუროში რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ თენგიზ ბოჭორიშვილმა კულტურისა და დასვენების პარკის გეგმა-მაკეტი გამაცნო. ინჟინრებსა და არქიტექტორებს სერიოზულად უმუშავნიათ ახალი დასვენების კერის პროექტზე.

ქალაქის განაპირას, მდინარე ტეხურას გასწვრივ მდებარე ვრცელ აუთვისებელ ადგილზე ხელოვნური ტბის მოწყობა განუზრახავთ. ტბაში, კუნძულზე სკვერიც გაშენდება და იგი ნაპირს ხიდით დაუკავშირდება. გაკეთდება პლაჟი, სარბენი ბილიკი, აშენდება ჭადრაკის სახლი, სპორტდარბაზი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, კორტები, საწყლოსნო სპორტის განვითარებას ხელს შეუწყობს ხელოვნური ტბა.

დღესდღეობით კი ქალაქში ერთი ხეირიანი სპორტული ნაგებობაც არ არის. კულტურის პარკში, ადგილის სიმცირის გამო შეუძლებელია სპორტული ბაზის მოწყობა. ამაზე კულტურულ-სპორტული კომპლექსის რაიონული საკოორდინაციო საბჭო ზრუნავს, რადგან სწორედ მისი ხელმძღვანელობით წყდება მსგავსი პრობლემები.

„თავის დროზე, ქალაქის განაშენიანების პროექტში სერიოზული შეცდომებია დაშვებული — თქვა კულტურულ-სპორტული კომპლექსის რაიონული საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ანზორ ცაგურიამ. — არავის უფიქრია კულტურისა და დასვენების პარკისთვის ადგილის გამოყოფაზე. ახლა ვრცელი ტერიტორია ქალაქის ცენტრში აღარ მოიძებნება. გარდა ამისა, გვჭირდება სპორტული ბაზები. სპორტსკოლის დარბაზი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რადგან იგი მაყურებლისათვის არ არის გათვალისწინებული. ამიტომ გასულ წელს ხორჩ მოკრივეთა რესპუბლიკური პირველობა პროფტექნიკური სასწავლებლის ქალაქგარეთ მდებარე ბაზაზე ჩავატარეთ. ცხადია, შეჯიბრებას მაყურებელი დააკლდა. საცურაო აუზი ავარიულ მდგომარეობაშია, თანაც ისეთ ადგილას აშენდა, მისი გამოყენება ფაქტიურად შეუძლებელია. ასე რომ, იძულებული ვართ სხვა საშუალება გამოვძებნოთ მშრომელებისათვის კულტურული დასვენებისა და გართობის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

ქალაქის განაპირას პარკის გაშენების იდეა და შემოთავაზებული პროექტი მოიწონა რაიონის პარტიულმა, საბჭოთა ხელმძღვანელობამ. უკვე დასახა მისი შესრულების გზები. ალბათ ძირითად სამუშაოებს მიმდინარე და მომავალ წელს დავამთავრებთ. ჩვენთან ბევრია ისეთი მრავალრიცხოვანი შრომითი საწარმოები, რომელთაც ერთი მტკაველი მიწაც არა აქვთ სპორტული ბაზების ასაშენებლად. სწორედ ეს ორგანიზაციები მოაწყობენ აქ საკუთარ სპორტულ მოედნებს, თავიანთ ბალანსზე აიყვანენ მათ და თავიანთი ღონისძიებებისათვის გამოიყენებენ. გვეხმარება აგროსამრეწველო გაერთიანება, დავალებებს დროულად ასრულებს საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ცხაკაიას № 2 ტრესტი, კურორტმშენი, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა საწარმო კომბინატი და სხვა ორგანიზაციები.

კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭო ბევრი კარგი საქმის თაოსანია, განსაკუთრებით ახლა, როცა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფიზკულტურული ორგანიზატორების მუშაობა ერთმანეთს ასე დაუკავშირდა. საკოორდინაციო საბჭოს მთელი შემოსავლის 40 პროცენტი მხოლოდ სპორტულ ღონისძიებებს ხმარდება. ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო მძლეოსანთა ოთახი, ბადმინტონის მოედანი, კეთილმოეწყო დამხმარე ობიექტები, შეძენილია სპორტული ინვენტარი, საჩუქრები შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის. მალე გაიხსნება ვიდეობარი „სპორტი". მზადაა პროექტი დახურული საცურაო აუზის ასაშენებლად. სტადიონზე მოეწყობა ტრიბუნა 5 ათასი მაყურებლისთვის. პარალელურად მიმდინარეობს იპოდრომის მშენებლობა.

სასიხარულოა ის, რომ ცხაკაიაში ასე გულიანად ეკიდებიან სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეს, მაგრამ გვაკვირვებს ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელების პასიურობა. დღემდე ფეხბურთის მოედანი ვერ შემოუღობავთ.

საკოორდინაციო საბჭო უნდა ეცადოს, რომ ფინანსურად მოღონიერდეს — საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა დროზე უნდა ჩაურიცხონ ამ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები, რათა საბჭოს ძირეულმა ორგანიზაციებმა კარგად გაართვან საქმეს თავი, თორემ რა გამოდის? ისინი ვერ გარკვეულან თავიანთ ფუნქციებში და ზემდგომი ორგანოებიდან ელიან მითითებებს. საჭიროა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ფიზკულტურის კოლექტივებს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტი დამყარდეს, რადგან მათმა ერთობლივმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება.

**ნუგზარ ჟვანი[a]**
**„ლელოს" საკ. კორ[b]**

# საოჯახო საქმეები

დასასრული

რიაში ხუთი ქულა დავკარგე, დანარჩენებშიც — ხუთი. განა შეიძლება ასე დაწყება? პნევმატური სროლის წინ მითხრა, არ მეფიქრა პირად შედეგებზე, გუნდის ინტერესებზე მეზრუნა, მაგრამ მე მაინც გავიმარჯვე...

ნინო დამნაშავესავით იღიმება, თითქოს მართლა დაერღვიოს მწვრთნელისა და მამის, წარსულში ცნობილი მსროლელის ვახტანგ სალუქვაძის ის მითითება და ეშინია, რომ ამისათვის გაუჯავრდებიან.

ასეთია თბილისელი სტუდენტი ნინო სალუქვაძე, რომელმაც 19 წლის ასაკში ქვეყნის პირველობაში გათამაშებული ოქროს მედლების დიდი კოლექცია მოაგროვა. ჩვენი სასროლო სპორტის ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. მითუმეტეს, რომ ნინომ პისტოლეტი ხელში სულ ხუთიოდე წლის წინათ აიღო.

— ბავშვობაში სიტყვა „სროლა" ჩემთვის მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა: მამა დიდხანს არ იყო შინ. ახლა კი ეს სიტყვა დედისთვის ნიშნავს, რომ მე და მამა არა ვართ დიდხანს სახლში.

— გენატრებათ?

— ძალიან... იშვიათად მიწევს სახლში დედასთან ერთად ყოფნა.

— მაგრამ შეჯიბრებებზე და შეკრებებზე მამა ხომ თქვენს გვერდითაა...

— შეჯიბრებებზე და შეკრებებზე ჩემს გვერდით მწვრთნელია: ყურადღებასაც იმდენს მითმობს, რამდენსაც საქმე მოითხოვს...

— ეს კი ნიშნავს, რომ ძალიან ცოტას, — მოსაუბრეებს ვახტანგ სალუქვაძე შემოგვიერთდა,—ნინოსნაირ მოწაფეს ასს მოვუვლი. რასაც ეტყვი, ყველაფერს ზუსტად ასრულებს, თვალყურის მიდევნება არ სჭირდება.

— ყოველთვის ასეთი დამჯერი იყავით?

— დიახ. ალბათ იმიტომ, რომ არასდროს მაიძულებდნენ მეკეთებინა ის, რაც არ მსურდა, რაც არ შემეძლო. ჩვენ, ოჯახში, მეგობრულად ვცხოვრობთ.

— მაგრამ თუ მწვრთნელი დაკავებულია სხვა მოწაფეებთან, მაშინ შვილს არავინ ასწავლის...

— მე, ალბათ, თვითონ შემიძლია სწავლა. ვუყურებ როგორ გამოდიან გამოცდილი მსროლელები: ტურლა, ეგრიშჩინი, კოჩარევა. თავს მათ ადგილზე წარმოვიდგენ ხოლმე და ვცდილობ იგივე გავიმეორო გამომდის. რჩევასაც ყურს ვუგდებ. მახსოვს, ჯერ კიდევ თბილისის არმიელთა ტირში ვარჯიშისას არაფრით არ გამომდიოდა „სილუეტში" სროლა. მეგობარმა გოგონამ, რომელიც ჩემზე ორი წლით უფროსია, მითხრა: „ვერ გამიგია როგორ ვერ ხვდები ამ ძროხისხელა „ცხენს?" გამეცინა და სროლა განვაგრძე. ათიანი ათიანს მიჰყვა. მაგრამ სასაცილო ის არის, რომ იმ გოგონამ თვითონ არ იცოდა „სილუეტში" სროლა...

იარაღი ზოგჯერ ბეზრდება. ასე იყო შარშან, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როდესაც სამიზნის შეხედვაც კი ნერვებს უშლიდა. სამი კვირის განმავლობაში იარაღი ხელში არ აუღია...

— ნეტავი ვიცოდე, რაზე ლაპარაკობდით მაშინ თქვენ და მამა.

— თქვენ მაინც ვერ გაიგებდით — გაეღიმა ნინოს, — ჩვენ ხომ ქართულად ვლაპარაკობდით.

**ლ. ნიკოლოვ[c]**

**„სოვეტსკი სპორტი". 21.09. 87 წ.**

## ინფორმაცია

საბჭოთა კავშირის რეგბისტთა ნაკრებმა გუნდმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა ზიმბაბვეში. პირველ შეხვედრაში ჩვენმა რეგბისტებმა დაამარცხეს ამ ქვეყნის უძლიერესი საკლუბო გუნდი „მაშონალენდი" — 40:10. მეორე მატჩში საბჭოთა გუნდის მეტოქე იყო ზიმბაბვეს ნაკრები. კვლავ გაიმარჯვეს (16:12) საბჭოთა სპორტსმენებმა.

• • •

სალონიკში (საბერძნეთი) კალათბურთელთა საინტერესო მატჩი გაიმართა. ევროპის ჩემპიონატში ახლახან გამარჯვებულმა საბერძნეთის გუნდმა ტურნირის სხვა მონაწილეთაგან შეკრებილ ნაკრებს უმასპინძლა. შეხვედრამ ადგილობრივ სპორტისმოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მაყურებლები მხურვალედ უჭერდნენ მხარს თანამემამულეებს, მაგრამ ამაოდ. ევროპის ჩემპიონი ამჯერად დამარცხდა — 101 (47:53).

მატჩის საუკეთესო სნაიპერი ... ჯერადაც ევროპის ჩემპიონატის მთავარი ბომბარდირი გა... იყო. მან თავის გუნდს 47 ქულა შესძინა. ნაკრებში ყველაზე ... დეგიანი მოთამაშე იუგოსლ...ელი დრაჟენ პეტროვიჩი აღმოჩნდა — 23 ქულა.

საკავშირო ჩემპიონატი წყალბურთში ● II წრე

# იურა ზაიცევი: „თბილისელებს მეტი შეუძლიათ"

თბილისი. ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი.

„დინამო" (თბილისი) — „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) 8:8 (2:0, 1:1, 2:3, 3:4).

**„დინამო":** გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, კოლუაშვილი, კანდელაკი, რამიშვილი; გიორგაძე, ბაღათურია, ნიკოლაიშვილი, მაჭავარიანი.

**„უნივერსიტეტი":** შარაფეევი, მერენკოვი, იანკოვი, ჩეკუნოვი, მიროზოვი, როხლიაკოვი, კურბატოვი; ვორონკოვი, მშვენიერაძე, შჩიპიცინი, პანკოვი, ნაუმოვი.

ჩვენმა წყალბურთელებმა იმ გუნდებთან, რომლებსაც ახლა ეთამაშნენ, პირველ წრეში 10 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვეს. მაშინ ისინი მხოლოდ „უნივერსიტეტთან" დამარცხდნენ მეტად საინტერსო და თანაბარ ბრძოლაში. მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა, მაგრამ ჩვენ წყალბურთელებს ის მარცხი ახლაც მწარედ აგონდებათ. იქნებ იმიტომ, რომ გამარჯვების გოლი მოსკოველმა ნუგზარ მშვენიერაძემ შეხვედრის უკანასკნელ წამს გაიტანა.

ერთი სიტყვით, თბილისელებს რევანშის აღება სურდათ. იმედი ჰქონდათ, რომ „უნივერსიტეტს" შინ დაამარცხებდნენ და თუ ქულათა მაქსიმუმს ვერ მოაგროვებდნენ, მოსკოვში ნაჩვენებ შედეგს მაინც გაიმეორებდნენ.

სამწუხაროდ, როცა მასპინძლები ცსკ ვმფ-სთან შეხვედრაში უაზროდ დამსახურებული პენალტის „წყალობით" დამარცხდნენ, ნათელი გახდა, რომ მათ მხოლოდ მოსკოვში ნაჩვენები შედეგის გამეორებაზე უნდა ეფიქრათ, მაგრამ მიზნის მისაღწევად „უნივერსიტეტი" უსათუოდ უნდა დაემარცხებინათ, რაც ნებისმიერი გუნდისთვის მეტად ძნელი საქმეა. სპეციალისტთაგან ერთმაც ვერ გაიხსენა, როდის დაამარცხა თბილისის „დინამომ" უკანასკნელად „უნივერსიტეტი".

სასწაული არც ამჯერად მომხდარა, თუმცა თბილისელები მეოთხე პერიოდის მეორე ნახევრამდე მიზანს სულ უფრო უახლოვდებოდნენ. პირველი პერიოდი 2:0 მოიგეს და ამის მერე მეტოქეს ერთი-ორი ბურთით უსწრებდნენ. მაგრამ მოსკოველებმა მეოთხე პერიოდის მეორე ნახევარში ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც. ახლა მასპინძლები მდევრის როლში აღმოჩნდნენ. ისინი ორჯერ დაეწიენ მეტოქეს.

მატჩის დამთავრებამდე წამები რჩებოდა. მოსკოველები გააფთრებით უტევდნენ თბილისელთა კარს, მაგრამ მასპინძლებმა მათი შემოტევა მოიგერიეს.

ამ მატჩში ჩვეული ოსტატობით თამაშობდა მეკარე გიორგაძე.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: კუტივაძემ (3), ზუმბულიძემ (2), ბაღათურიამ, კანდელაკმა და რამიშვილმა, ხოლო მოსკოველთაგან ნაუმოვმა (3), პანკოვმა, შჩიპიცინმა, ჩეკუნოვმა, როსლიაკოვმა და ვორონკოვმა.

კვირას დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკ ვმფ — „ლოკომოტივი" 12:8, „ბალტიკა" — კჩფ 6:3.

ამრიგად, თბილისში ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია ცსკ ვმფ-მა. ამ გუნდმა მხოლოდ 1 ქულა დაკარგა, უნივერსიტეტელებმა 2 ქულა, თბილისელებმა — 3.

რა შეიძლება ითქვას თბილისელთა თამაშზე? მათ საერთო ჯამში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. იმ გუნდებთან შეხვედრაში, რომელთა უეჭველ დამარცხებას აპირებდნენ, გაიმარჯვეს, „უნივერსიტეტთან" კი ფრედ დაამთავრეს შეხვედრა.

განსაკუთრებული ინტერესით ვადევნებდით თვალს ახალგაზრდების თამაშს. მათ ჩემპიონატში დამდგარი, ხანგრძლივი პაუზით უსარგებლიათ და თავიანთი ოსტატობა მნიშვნელოვნად დაუხვეწიათ. დიახ, ახლა ისინი გაცილებით უკეთესად თამაშობენ, თუმცა, ზოგჯერ მიუტევებელი შეცდომაც მოსდით.

თბილისელებმა, თუ ამ ტურის მიხედვით ვიმსჯელებთ, ბოლოსდაბოლოს გამოასწორეს თავიანთი ერთ-ერთი მთავარი ნაკლი. ახლა ისინი უკეთესად იყენებდნენ ზედმეტ მოთამაშეს. თბილისის ტურში მასპინძლებმა 37 ასეთი შემთხვევიდან 27 გამოიყენეს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ მოწინააღმდეგეთა რიცხობრივი უპირატესობის დროს ქართველი წყალბურთელები კარგად იცავდნენ თავს. დინამოელთა მეტოქეებს 40-ჯერ ჰყავდათ ზედმეტი მოთამაშე, მაგრამ მიზანს მხოლოდ 17-ჯერ მიაღწიეს.



არ გეგონოთ, სუსტ მეტოქეებთან შეხვედრებში მიღებული შედეგების მიხედვით ვლაპარაკობდეთ. ამაში დასარწმუნებლად „უნივერსიტეტთან" და ცსკ ვმფ-სთან შეხვედრები გავიხსენოთ. პირველთან შეხვედრაში ორივე მხარეს 10-10-ჯერ ჰყავდა ზედმეტი მოთამაშე. აქედან თბილისელებმა 6-ჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი, მოსკოველებმა კი 5-ჯერ.

ცსკ ვმფ-ს წყალბურთელებთან პაექრობაში თბილისელებმა 9-დან 5-ჯერ მიაღწიეს მიზანს, ხოლო ტეზლავურებმა 8-დან ერთხელ.

ტურის დამთავრების შემდეგ საკავშირო სპორტსახკომის წყალბურთის განყოფილების გამგეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ იური ზაიცევს გავესაუბრეთ.

— თბილისის ტურის მონაწილე ყველა გუნდმა კარგად ითამაშა, — გვითხრა ზაიცევმა. — თითოეულმა მათგანმა შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენა. ეს არცაა გასაკვირი, ახლა ხომ შუა სეზონია. აქ საკავშირო ნაკრების წევრები და კანდიდატებიც გამოდიოდნენ. სამწუხაროდ, ყველას თამაშით კმაყოფილი არა ვარ. სტაბილურად ვერ გამოვიდნენ. მაგალითად, უნივერსიტეტელმა ნაუმოვმა კარგად ითამაშა ცსკ ვმფ-ს გუნდთან, თბილისის „დინამოსთან" შეხვედრაზე კი ამას ვერ ვიტყვი. რაც შეეხება თქვენს გუნდს, ამ კოლექტივში ახლა თანაბარი ძალის წყალბურთელები არიან და მათ მეტი შეუძლიათ. „დინამო" კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. თბილისელები — დღეს მოსკოვის „უნივერსიტეტს" კარგად ეთამაშნენ, თუმცა ზოგჯერ ჩავარდნებიც ჰქონდათ. სასიხარულოა ის, რომ დინამოელთა მეკარე მიხეილ გიორგაძემ ჩვეული სპორტული ფორმა დაიბრუნა. მან მთელი ტურის მატჩები სტაბილურად, კარგად ჩაატარა.

ახლა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს კვლავ ხანგრძლივი არდადეგები დაუდგათ. მეორე წრის შეხვედრები ოქტომბერში განახლდება. იმედია, ჩვენი დინამოელები ამ პერიოდს ნაყოფიერად გამოიყენებენ.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

● ● ●

**მოსკოვი.** ტურის ბოლო მატჩები ამ ქვეჯგუფში ასე დამთავრდა: „დინამო" (კიევი) — „დინამო" (ლვოვი) — 9:10 (3:2, 1:2, 2:3, 3:3), კკფ (ბაქო) — „დინამო" (ალმა-ათა) 7:8 (2:2, 3:2, 1:3, 1:1), „მოსკვიჩი" — „დინამო" (მოსკოვი) 9:15 (3:3, 2:4, 1:5, 3:3).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 30 |
| უნივერსიტეტი (მოსკოვი) | 16 | 24 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 16 | 24 |
| ცსკ ვმფ | 16 | 22 |
| „დინამო" (ლვოვი) | 16 | 22 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 20 |
| კკფ (ბაქო) | 16 | 14 |
| „მოსკვიჩი" | 16 | 12 |
| „ლოკომოტივი" (ხარკოვი) | 16 | 8 |
| „დინამო" (კიევი) | 16 | 6 |
| კჩფ (სევასტოპოლი) | 16 | 6 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 16 | 4 |

ჩემპიონატი განახლდება 16 ოქტომბერს ბაქოსა და ლვოვში.

---

**50 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში**

**ცსკა — „დინამო" (თბილისი) 2:1 (1:0)**

**მოსკოვი. „დინამოს" სტადიონი. 21 ივნისი.**

**ცსკა:** ჩანოვი, კუზნეცოვი, შმატოვალენკო, კოლოტოვკინი, ფოკინი, გალიამინი, მალიუკოვი (კოლესნიკოვი, 46), პიატნიცკი, მედვიდი, აფანასიევი (ჰუსეინოვი, 84), მასალიტინი.

**„დინამო":** გაბელია, ცვეიბა, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, გოგრიჭიანი (შენგელია, 25), ხვანაძე, სულაქველიძე, ქვანია, კორღალიძე (ცეტაშვილი, 75), ქეცბაია.

**მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ-ოლა).**

**დუბლიორები — 2:2.**

საკავშირო ჩემპიონატის XV ტურისთვის ცსკა და თბილისის „დინამო" ქულათა თანაბარი რაოდენობით (12-12) სატურნირო ცხრილის უახლოესი მეზობლები აღმოჩნდნენ. ალმა-ათის „ქაირათთან" ერთად ისინი X-XII ადგილებს იყოფდნენ, ამ მატჩში გამარჯვებული გუნდი კი საგრძნობლად იუმჯობესებდა საერთო მდგომარეობას.

ასეთი ვითარება, რა თქმა უნდა, ორივე მეტოქეს აიძულებდა ძალების სრული დაძაბვით ებრძოლა, გარდა ამისა, მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ მოსკოვის არმიელებმა წლევანდელ ჩემპიონატში კარგად აღებული სტარტის შემდეგ მკვეთრად მოუკლეს თამაშს, რის შედეგადაც თანდათან ჩამოქვეითდნენ აუტსაიდერებისკენ. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო გამარჯვება არმიელებმა 2 მაისს მოიპოვეს კიევის „დინამოსთან" შეხვედრაში — 2:1, მეტოქის მინდორზე, შემდეგ კი 7 კალენდარულ მატჩში მხოლოდ 4 ფრეს მიაღწიეს და 14 შესაძლებლიდან 4 ქულა აიღეს.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს", მისი სავალალო მდგომარეობა ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ განვლილ ტურში მოსკოვის „დინამოსთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ჩვენი გუნდის ქომაგები დიდი ოპტიმიზმით ვიყავით განწყობილი, დინამოელთაგან მოველოდით მაქსიმალურ მობილიზებას, მოველოდით, რომ გუნდი სრული ენერგიით იბრძოლებდა წარმატების მისაღწევად. სამწუხაროდ, ჩვენს იმედებს წყალი გადაესხა მატჩის დასაწყისშივე, მე-2 წუთზე, როცა არმიელებმა თავიანთი სწრაფი შეტევა გოლით დაამთავრეს — 1:0 (ბურთი გაიტანა დებიუტანტმა მასალიტინმა, რომელიც ცსკა-ში როსტოვის არმიელთა გუნდიდან გადმოიყვანეს სულ ახლახანს).

მცირე ხნის შემდეგ დინამოელები კვლავ მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდნენ, როცა იმავე მასალიტინის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის მსაჯმა პენალტი დანიშნა. 11-მეტრიანის დარტყმის უფლება . მასპინძლებმა თავიანთ მცველს ფოკინს მიანდეს, მაგრამ გაბელიამ გამოიცნო დარტყმის მიმართულება და მოიგერია ბურთი.

თბილისელთა რიგებს ამის შემდეგ გამოცოცხლება დაეტყო, ცსკა-ს კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. შესვენების შემდეგ დინამოელები კვლავ უტევდნენ, მოთამაშეთა შორის იგრძნობოდა მონდომება, აღმავლობა, ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობები შეექმნათ ჭედიას, ქვანიას, ერთ-ერთი იერიშისას შენგელიამ რთული მდგომარეობიდან მოტრიალებით დაარტყა, ბურთი მოხვდა ზედა ძელს და კარის ხაზს მიღმა ჩაეშვა — 1:1.

მატჩის დასასრულამდე ბრძოლის სიმწვავე არ განელებულა, ჩვენს გუნდს შეეძლო სულ ცოტა ერთი ქულა მაინც აეღო, მაგრამ არმიელთა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს მიუტევებელი შეცდომა დაუშვა სულაქველიძემ. ამ გამოცდილმა ფეხბურთელმა სრულიად მარტივ, უხიფათო ვითარებაში უყურადღებოდ, არაზუსტად გადააწოდა ბურთი მეკარეს, იქვე ახლოს მყოფმა მასალიტინმა სწრაფად მიუსწრო ბურთს და შეუფერხებლად გაგზავნა იგი მეტოქის ბადეში.

დარჩენილ მცირე დროში თბილისელებმა ვეღარაფერი შეძლეს და ახალი, რიგით მეშვიდე დამარცხება იწვნიეს.

**ზურაბ ფოცხვერია.**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**

**გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XV ტურის მატჩები.**

ლანჩხუთის „გურია" მოსკოვში შეხვდა „დინამოს". თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 1:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები.

**„დნეპრი" — „ნეფთჩი" 1:0**

**„შახტიორი" — „არარატი" 2:1**

**„ქაირათი" — „ტორპედო" 0:0**

**„ზენიტი" — „მეტალისტი" 1:2**

**„ჟალგირისი" — „სპარტაკი" 5:2**

## II ლიგა

**21 ივნისს** შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების პირველი წრის ბოლო, XV ტურის მატჩები.

ზონის წამყვან ჯგუფში კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა ფოთის „კოლხეთმა". ფოთელებმა ამ დღეს სუმგაითის „ვოსხოდი" მიიღეს და, როგორც ჩვენი კორესპონდენტი **ამირან ლომაია** გვატყობინებს, სრული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი. ფოთელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ახალგაზრდა თავდამსხმელი შევჩუკი, რომელმაც ამ მატჩში ორივე ბურთი გაიტანა. პირველი — მე-4 წუთზე, მეორე კი ტაიმის დასასრულს, როცა „ვოსხოდის" კარში 11-მეტრიანი დაინიშნა — 2:0.

შევჩუკის გარდა „კოლხეთის" შემადგენლობაში სხვა ახალგაზრდა ფოთელი ფეხბურთელებიც გამოდიან, რომლებსაც თავიანთი მონდომებული, უნარიანი თამაშით გარკვეული წვლილი შეაქვთ გუნდის წარმატებებში.

აღსანიშნავია, აგრეთვე, სოხუმის დინამოელთა კარგი თამაში. მთელი კოლექტივი და უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ანატოლი ნორაკიძე მონდომებით იბრძვიან, რათა შეინარჩუნონ თავიანთი გუნდის წამყვანი პოზიციები. სოხუმელებმა ამ დღეს საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით დაამარცხეს აშხაბადის „კოლხოზჩი" — 3:0.

თანდათან იუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას ტყიბულის „მეშახტე". 21 ივნისს „მეშახტემ" შინ მიიღო ზონის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ქიაფაზი" (კიროვაბადი). მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს თამაში, კიროვაბადელთა ერთ-ერთი მცველის უხეშობისთვის მე-5 წუთზე დაინიშნა 11-მეტრიანი, რუსიშვილმა ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0. მეშახტე ფეხბურთელებს ტაიმის ბოლომდე არ შეუწყვეტიათ იერიშები, ფანჩულიძემ ანგარიში 2:0-მდე აიყვანა, შესვენების შემდეგ კი ლაფერაძემ კიდევ უფრო დააწინაურა „მეშახტე" — 3:0. ამ მატჩის შესახებ ინფორმაცია გადმოგვცა ჩვენმა ტყიბულელმა კორესპონდენტმა **ელგუჯა ბაქრაძემ.**

წარმატებით ითამაშეს რუსთაველმა ფეხბურთელებმაც. ჩვენი კორესპონდენტი **რამდენ გაბრიჩიძე** რუსთავიდან გვატყობინებს: „მეტალურგმა" დასაწყისიდანვე მიაღწია ტერიტორიულ უპირატესობას ყაზახის „გოიაზანთან" შეხვედრაში, 21-ე წუთზე ხარჩილავამ საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. 62-ე წუთზე კილასონიამ ხელსაყრელ მდგომარეობაში მიიღო სკრობას გადაცემა და მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო 75-ე წუთზე სკრობამ კიდევ ერთხელ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში — 3:0.

აღსანიშნავია ზონის ერთპიროვნული ლიდერის სამტრედიის „ლოკომოტივის" ახალი წარმატებაც. გუნდმა შინ კვლავ ძლიერად ითამაშა სტეფანაკერტის „ყარაბახთან" და მორიგი, მე-11 გამარჯვება მოიპოვა — 2:0.

სხვა მატჩები: „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) 3:5, „დილა" (გორი) — „ოლიმპია" (ლენინაკანი) 1:1, „ლორი" (კიროვაკანი) — „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) 0:0.

II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშების პირველი წრე ამით დამთავრდა. ზონის გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა თასის ტრადიციულ გათამაშებაში, ჯგუფების შემადგენლობას და კალენდარს გამოვაქვეყნებთ.

**II ლიგა, IX**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 23 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ." | 15 | 11 | 4 | 0 | 26-5 | 26 |
| „დინამო" | 15 | 7 | 5 | 3 | 27-15 | 19 |
| „კოლხეთი" | 15 | 7 | 4 | 4 | 23-19 | 18 |
| „ოლიმპია" | 15 | 7 | 1 | 7 | 16-23 | 15 |
| „შევარ."-სპი | 15 | 6 | 3 | 6 | 28-20 | 15 |
| „ქიაფაზი" | 15 | 6 | 3 | 6 | 21-22 | 15 |
| „ვოსხოდი" | 15 | 6 | 3 | 6 | 18-20 | 15 |
| „ავტომობ." | 15 | 6 | 2 | 7 | 17-17 | 14 |
| „ყარაბახი" | 15 | 6 | 2 | 7 | 17-18 | 14 |
| „სპარტაკი" | 15 | 6 | 2 | 7 | 21-24 | 14 |
| „დილა" | 15 | 5 | 4 | 6 | 16-20 | 14 |
| „მეტალურ." | 15 | 6 | 1 | 8 | 16-16 | 13 |
| „ლორი" | 15 | 6 | 1 | 8 | 11-13 | 13 |
| „მეშახტე" | 15 | 5 | 3 | 7 | 14-19 | 13 |
| „გოიაზანი" | 15 | 5 | 2 | 8 | 12-23 | 12 |
| „კოლხოზჩი" | 15 | 3 | 4 | 8 | 15-24 | 10 |

**საქართველოს პირველობა**

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIX ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:**

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „დიხამო" (გაგრა) 2:0, „კოლხეთი" (ხობი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 1:2, „დინამო" (ზუგდიდი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 0:1, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:0, „მადნეული" (ბოლნისი) — „მერცხალი" (მახარაძე) 4:0, „ეგრისი" (ცხაკაია) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0, „ივერია" (ხაშური) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0, „იმერეთი" (ქუთაისი) — „კახეთი" (თელავი) 2:1, „ქართლი" (გორის რ-ნი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:0, „სქური" (წალენჯიხა) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:0.

 ფეხბურთი

საქინფორმი – „ლელოს“

# შიმბლდონი: ასმეერთე გათამაშება

## ისტორიის ფურცლები

100 წლის ასაკს გადააბიჯა უიმბლდონის ტურნირმა, რომელიც ლონდონის მახლობლად ამავე სახელწოდების ადგილზე ეწყობა და ჩოგბურთელთა ყველაზე პოპულარული შეჯიბრებაა. მას მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ. ამ დღეებში დაიწყო 101-ე გათამაშება. ეს წერილიც, სწორედ იმას ეძღვნება, თუ როგორ იშვა ტურნირი და რა ღირსშესანიშნავი მოვლენებით აღინიშნება მისი ისტორია.

გასულ საუკუნეში სამმა მარჯვე ახალგაზრდამ — კასტერმა, გრეისმა და დისრაელიმ ლონდონის მახლობლად მიწის ოთხი აკრი ფართობის ნაკვეთი აიღეს იჯარით და „სრულიად ინგლისის კროკეტის კლუბი“ დააარსეს. კროკეტი იმხანად მოდური გატაცება იყო და კლუბს საქმე თავდაპირველად კარგად მისდიოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მიწის იჯარის საფასური მკვეთრად გაიზარდა, ამასთან, სასწრაფოდ შესაკეთებელი გახდა საგორავი, რომლითაც ბალახს ტკეპნიდნენ მოედანზე და კლუბის ორგანიზატორებმაც დამატებითი სახსრების მისაღებად თავისი საქმის გაფართოება გადაწყვიტეს. არჩევანი წილად ხვდა „ლაუნ-ტენისს“, რომელიც იმ დროისთვის უკვე საკმაოდ ფართოდ გავრცელდა. 1877 წლის აპრილში სამეულმა სპორტის ორი სახეობა გააერთიანა და კლუბის სახელწოდებას „ლაუნ-ტენისი“ დაემატა. ასე შემოინახა იგი დღემდე.

იმავე წელს, 22 ივნისს „სრულიად ინგლისის კროკეტისა და ლაუნ-ტენისის“ კლუბის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება პირველი ჩემპიონატის მოწყობის შესახებ. ეს დღე უიმბლდონის ტურნირის დაბადების თარიღად ითვლება, მას შემდეგ თამაშები ტრადიციულად ეწყობა ივნისის ბოლო კვირისა და ივლისის პირველი კვირის განმავლობაში.

პირველმა ჩემპიონატმა, რომელშიც მხოლოდ ვაჟები მონაწილეობდნენ, 22 კაცს მოუყარა თავი. ყოველი მათგანი ერთი გირვანქა სტერლინგის საფასურს იხდიდა. 200-ზე მეტი მაყურებელი ადევნებდა თვალს უიმბლდონის პირველი ტურნირის ფინალურ ორთაბრძოლას, სადაც ერთმანეთს ინგლისელები სპენსერ ჰორი და უილიამ მარშალი შეხვდნენ. ჰორი 3 სეტში „გაუსწორდა“ მეტოქეს და გამარჯვებას ერთ საათზე ნაკლები დრო მოანდომა. კმაყოფილი დარჩნენ მაყურებლებიც და განსაკუთრებით შეჯიბრების ორგანიზატორები, რადგანაც ასპარეზობის წმინდა შემოსავალმა... 10 გირვანქა სტერლინგი შეადგინა. საგორავიც (იხ. ფოტო), რომელიც დღესაც დგას თავისებურ ძეგლად უიმბლდონის სტადიონის ცენტრალური კორტის კედელთან, როგორც იქნა, შეაკეთეს.

1923 წლამდე უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულებს ენიჭებოდათ ბალახის კორტებზე მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაც. მორიგ გათამაშებაში ჩემპიონი თავის ტიტულს პირდაპირ ფინალურ ორთაბრძოლაში იცავდა (როგორც ეს ახლა ჭადრაკშია).

პირველად უძლიერესი ჩოგბურთელები ტურნირის „ბადეში“ 1927 წელს გაანაწილეს. ამ წესმა დღევანდლამდე მოაღწია, რაც უძლიერეს 16 მონაწილეს საშუალებას აძლევს ერთმანეთს აცდნენ შეჯიბრების ადრეულ სტადიაზე, სულ კი ძირითად ერთეულთა შეჯიბრებაში 128-128 ჩოგბურთელ ქალსა და ვაჟს უშვებენ.



„მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ უიმბლდონის ტურნირმა 1922 წელს მოიპოვა. მისი ორგანიზატორები, როგორც ინგლისელებს მოსდგამთ, ძალზე სათუთად უფრთხილდებიან ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებულ ყველა ტრადიციას. მაგალითად, სტადიონის კარი ყოველთის ერთი და იგივე დროს — შუადღეზე იღება, ხოლო თამაშები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზუსტად 14 საათზე იწყება.

1971 წელს პირველად გამოიყენეს დამოკლებული გეიმი — ეგრეთ წოდებული ტაიმ-ბრეკი, რომელმაც საგრძნობლად შეზღუდა თამაშის დრო. ეს ტელევიზიისათვის გაკეთდა. ხოლო იმისათვის, რომ ტელეტრანსლაციები უფრო ლაზათიანი გამოსულიყო, ტურნირის ორგანიზატორები ერთ ტრადიციას მაინც შეელივნენ — უარი თქვეს თეთრ ქათქათა ფორმაზე. მაგრამ ყველაზე სენსაციური ამბავი 1968 წელს მოხდა, როცა უიმბლდონმა, „დიდი მუზარადის“ ტურნირებიდან პირველმა გაუღო კარი პროფესიონალებს. დიდი ბიზნესი განუყოფელია პროფესიული სპორტისაგან და იგი ტრადიციებს არად დაგიდევთ.

1881 წლიდან ლიდერობა ვაჟთა ჩოგბურთში მთელი 9 წლით ხელთ იგდეს ტყუპმა ძმებმა ჩელტენჰემელმა უილიამ და ერნსტ რინშაუებმა. 15 წუთით უფროსი უილიამი იყო უიმბლდონში გამარჯვებათა რეკორდსმენი — იგი შვიდჯერ გახდა ჩემპიონი. ერნსტმა კი ტურნირი ერთადერთხელ მოიგო, ისიც 1888 წელს, როცა მისი ძმა არ თამაშობდა. წყვილად კი მათ კიდევ 5-ჯერ გაიმარჯვეს. მერე დადგა ტყუპი ძმების რიგი და ლაური დოჰერტების „ეპოქა“, რომლებმაც 9-ჯერ გაიმარჯვეს ერთეულებში და 8-ჯერ მოიგეს წყვილთა შეჯიბრება. საეჭვოა ვინმემ შეძლოს ოდესმე ამ რეკორდის მოხსნა.

„ნაზ არსებებს“ უიმბლდონის სტადიონზე თამაშის ნება პირველად 1884 წელს დართეს. მანამდე ისინი ირლანდიაში გამოდიოდნენ და ისიც „უკანა“ კორტებზე, ცნობისმოყვარე მზერისგან მოშორებით. ქალთა შორისაც პირველ ჩემპიონატებში თავი გამოიჩინეს დებმა მაუდ და ლილიან უოტსონებმა.

შემდეგ ჩოგბურთის ცის კაბადონზე ამობრწყინდა ლოტი დოდის ვარსკვლავი, რომელმაც პირველად 15 წლისამ მოიგო უიმბლდონის ტურნირი, სულ კი მის გათამაშებაში ხუთჯერ გაიმარჯვა. მას, როგორც უწლოვანს, უფლება მისცეს მოკლე კაბით ეთამაშა, რაც ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა მეტოქეებთან შედარებით, რომლებსაც გრძელი, სათამაშოდ მოუხერხებელი კაბები ეცვათ.

1905 წელს ამერიკელმა მეი სატონმა პასადენიდან პირველმა დაარღვია ინგლისელ ჩოგბურთელ ქალთა ჰეგემონია. ვაჟთა შორის უიმბლდონის პირველი უცხოელი გამარჯვებული ავსტრალიელი ნორმან ბრუქსი გახდა 1907 წელს.

პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული შესვენების შემდეგ უიმბლდონის ტურნირში 12-ჯერ გაიმარჯვა ლეგენდარულმა სიუზანა ლენგლენმა (ექვს-ექვსჯერ ერთეულთა და წყვილთა შეჯიბრებებში). მას ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელ ქალს „მკლავმაგარ ბალერინას“ უწოდებენ. ლენგლენი პირველი პროფესიონალი ჩოგბურთელი ქალი გახდა. ოციანი წლების შუა ხანებში „ძალაუფლება“ ჩოგბურთის ოლიმპზე მოიპოვეს სახელგანთქმულმა ფრანგმა „მუშკეტერებმა“ ჟან ბოროტრას მეთაურობით. მან უიმბლდონში ასპარეზობა 1922 წელს დაიწყო, თავისი 221-ე მატჩი კი 42 წლის მერე გამართა. ვეტერანთა ტურნირებში იგი 1977 წლამდე მონაწილეობდა, ხოლო 1985 წელს 87 წლისამ ამხანაგური მატჩი ითამაშა შერეულ წყვილში.

უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონთა პორტრეტების გალერეას ამშვენებენ ალისა მარბი, რომელმაც პირველმა იხმარა მოკლე დარტყმები, ამერიკელი ბობი როგსი, ზუსტი და გრძელი „სანთლებით“ რომ გამოირჩეოდა, და მისი თანამემამულე დონალდ ბაჯი — მარცხნიდან დარტყმის განუმეორებელი ოსტატი. ჩოგბურთის მოყვარულთ დიდხანს ემახსოვრებათ ავსტრალიელი როდ ლეივერის საოცარი იმპროვიზაციები კორტზე, მისი თანამამამულის მარგარეტ სმითის ათლეტიზმი, ბრაზილიელი მარია ბუენოს მომხიბლაობა და მრავალი სხვა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ პირველი მუქკანიანი ჩემპიონი, ამერიკელი არტურ ეში, აგრეთვე ტურნირის ხუთგზის გამარჯვებული — მუდამ შემართული და უდრეკი შვედი ბიერნ ბორგი. მნახველს მეხსიერებაში დარჩება რუმინელი ილიე ნასტასეც, ქოლგით ხელში რომ განაგრძო შეხვედრა წვიმაში ცენტრალურ კორტზე.

უიმბლდონის ტურნირის ისტორიაში თავიანთი სახელები საბჭოთა ჩოგბურთელებმაც ჩაწერეს. ჩემპიონებს მათ შორის ვერ შევხვდებით, მაგრამ ისინი ექვსჯერ გამხდარან ფინალისტები, რაც ერთობ საპატიოა. თუმცა, საბჭოთა კავშირს ჭაბუკთა ტურნირების ჩემპიონები მაინც ჰყავს. სხვადასხვა წელს ამ წოდებას ფლობდნენ თომას ლეიუსი, გალინა ბაქშეევა, ოლღა მოროზოვა, ვლადიმერ კოროტკოვი და ნატალია ზვერევა.

ახლა თანამედროვე ჩოგბურთის ლიდერები, რომლებიც უიმბლდონის 101-ე ტურნირში მონაწილეობენ, ისტორიულ ცენტრალურ კორტზე გასვლისას უსათუოდ შეჩერდებიან ძველ საგორავთან, რომელმაც სათავე დაუდო მსოფლიოში ამ ყველაზე პოპულარულ ტურნირს.

**ა. მეტრეველი,**
**საქინფორმის სპორტული მიმომხილველი.**

## I ლიგა

21 ივნისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVIII ტურის მატჩები.

საქართველოს ორივე გუნდს სტუმრად ჰქონდათ შეხვედრები და ორივემ მარცხი იწვნია. ქუთაისის ტორპედოელებმა ნიკოპოლში დათმეს თამაში „კოლოსთან“ — 0:4, ხოლო ბათუმის „დინამომ“ ზაპოროჟიეში წააგო „მეტალურგთან“ — 0:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 2:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:0, „დაუგავა“ (რიგა) — ასკ (დონის როსტოვი) 3:1, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „პამირი“ (დუშანბე) — 2:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:2.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 23 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომორ.“ | 16 | 13 | 3 | 0 | 27-5 | 29 |
| „დაუგავა“ | 16 | 10 | 3 | 3 | 27-13 | 23 |
| „კოლოსი“ | 18 | 10 | 3 | 5 | 27-16 | 23 |
| „ლოკომოტ.“ | 17 | 8 | 7 | 2 | 19-9 | 23 |
| „როსტსელ.“ | 17 | 9 | 3 | 5 | 26-18 | 21 |
| „შინიკი“ | 17 | 7 | 5 | 5 | 12-12 | 19 |
| „დინამო“ სტ. | 17 | 7 | 4 | 6 | 17-21 | 18 |
| „კუზბასი“ | 18 | 6 | 6 | 6 | 15-11 | 18 |
| „გეოლოგი“ | 17 | 6 | 5 | 6 | 17-13 | 17 |
| ასკ რ. | 17 | 7 | 2 | 8 | 14-21 | 16 |
| „მეტალურ.“ | 17 | 6 | 4 | 7 | 20-18 | 16 |
| „ფახთაქორი“ | 17 | 6 | 4 | 7 | 17-19 | 16 |
| ასკ „კარპ.“ | 17 | 5 | 6 | 6 | 18-19 | 16 |
| „პამირი“ | 17 | 5 | 5 | 7 | 18-19 | 15 |
| „სპარტაკი“ | 17 | 5 | 5 | 7 | 11-15 | 15 |
| „ზარია“ | 16 | 4 | 6 | 6 | 15-20 | 14 |
| „ფაკელი“ | 17 | 4 | 5 | 8 | 11-17 | 13 |
| „ტორპ.“ ქ. | 17 | 4 | 5 | 8 | 11-22 | 13 |
| „კოტაიკი“ | 17 | 5 | 2 | 10 | 19-26 | 12 |
| „როტორი“ | 17 | 5 | 2 | 10 | 19-28 | 12 |
| „დინამო“ ბ. | 17 | 4 | 4 | 9 | 9-19 | 12 |
| „კრ. სოვეტ.“ | 16 | 4 | 3 | 9 | 12-20 | 11 |

## ბრაზილია–ეკვადორი 4:1

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა რიო-დე-ჟანეიროში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ეკვადორის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 4:1 (1:0).

## რეგბი

**უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში ქუთაისის „მშენებელმა“ ლენინგრადში დაამარცხა ადგილობრივი „პრიმორეცი“ — 12:3.**

# საინტერესო ფინალის მოლოდინში

ზურაბ სტურუა ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა. მოგეხსენებათ, ასეთი რამ იშვიათად ხდება. იგი რესპუბლიკური ჩემპიონატის ბოლოსწინა, XII ტურში შავი ფიგურებით ეთამაშებოდა ოსტატობის კანდიდატს კახა შალამბერიძეს. თითქმის თანაბარ ბრძოლაში ცაიტნოტში შალამბერიძის სასარგებლოდ გადაწყდა პარტიის ბედი.

კვლავ გაიმარჯვა ბესიკ ხეცურიანმა — ამჯერად ნუკრი მანაგაძე დაამარცხა. თეთრებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს. მანაგაძე კარგად იცავდა თავს, მაგრამ ცაიტნოტში, როცა 9 სვლაზე 2 წუთი რჩებოდა, შეცდომა დაუშვა და ხეცურიანმა ორი გადაბმული გამსვლელი პაიკი მიიღო მეფის ფრთაზე. პარტიის ბედიც ამან გადაწყვიტა. ახლა ხეცურიანს 8 ქულა აქვს და შეუძლია ოსტატის ნორმა შეასრულოს.

გია გიორგაძისა და ლაშა ჯანჯღავას შეხვედრაში ესპანური პარტიის ერთ-ერთი რთული ვარიანტი გათამაშდა, სადაც თეთრებმ. მცირე პოზიციური უპირატესობ. მიიღეს, მაგრამ ჯანჯღავამ შეძლო პოზიციის გათანაბრება და ფიგურების გაცვლის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ჩაჩიბაია-გედევანიშვილი — 1:0, გაფრინდაშვილი-ბალათუროვი — 0,5:0,5, კრასენკო-ტაბატაძე — 0,5:0,5, ეფიმოვი-ტყებუჩავა — 0:1.

ბოლო, XIII ტურის წინ ლიდერთა ჯგუფში არიან: ლაშა ჯანჯღავა (თბილისი) — 9 ქულა, მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი) — 8,5, ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი) — 8, გია გიორგაძე, თამაზ ტაბატაძე — 7-7, პაატა გაფრინდაშვილი — 6,5, ზურაბ სტურუა (ყველა — თბილისი) — 6.

ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ჯანჯღავა და კრასენკოვი. სწორედ მათი ბრძოლის შედეგად გამოვლინდება საქართველოს წლევანდელი **ჩემპიონი.**

**პაატა ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

## ტელეტაიპი - მკითხველი

**ბუდაპეშტი.** წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა ზაპოროჟიელმა ტატიანა გადუნმა მოიგო — 508, 95 ქულა. კოშკიდან ხტომაში ყველას კიევლმა ვალერი სტაცენკომ აჯობა — 617,10 ქულა.

**ბერლინი.** გდრ-ის მოცურავეთა ეროვნული ჩემპიონატი რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. მათგან პირველ რიგში 200 მ. კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებული რ. ჰანემანი უნდა დავასახელოთ — 2,02, 80.

**კარლ-მარქს-შტადტი.** გდრ-ისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს — 208:196. განსაკუთრებით ძლიერად გამოვიდა ქალთა გუნდი. ჰაიკე დრეჰსლერმა მოიგო სიგრძეზე ხტომა (734 სმ), მარილზ გიორმა — 100 მ. რბენა (11,07), საბინე ბუშმა — 400 მ. თარჯრბენი (59,80).

**ბელგრადი.** იუგოსლავიის ხელბურთელ ქალთა ღია ჩემპიონატის ფინალში საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდები ითამაშებენ. საბჭოთა ხელბურთელებმა მოიგეს ჯგუფური ტურნირი, რომელშიც გამოდიოდნენ ბულგარეთის (22:20), ჩეხოსლოვაკიის (27:13) და იუგოსლავიის ახალგაზრდული (24:19) გუნდები. გდრ-ის წარმომადგენლებმა კი იუგოსლავია-I, ნორვეგია და უნგრეთი დაამარცხეს.

**ტოკიო.** გასულ კვირას სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა იაპონიის ეროვნული გუნდი მეორედ დაამარცხა — 3:0.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 25-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 6 (ძიუდო), 22 (წყალში ხტომა), 33 (ფეხბურთი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 32 (ფიგურული ციგურაობა), 34 (ბალახის ჰოკეი).

## ცისფერ ეკრანზე...

**ცენტრალური ტელევიზია. 23 ივნისი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საჭადრაკო სკოლა — **11.05 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.45 (2);** ჯანმრთელი რომ იყო — **20.35 (1);** ჩოგბურთი: უიმბლდონის ტურნირი — **21.15 (2)** და **23.45 (2).**

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 25 ივნისს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 06971